სტამბა ... ქტაა
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო კარვასლა

ქალის-მ იწერენი გაზეთის დასაბეჭ-
დად მიმართავენ რედაქციის დილის
10—3 საათამდე და საღამოს 6—
დან „ც. ფ. ხაზ.“ წიგნის მაღაზია.

ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

3 რის-პირ ... რებლა ... რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363



## წლის დამლევამდე
## გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 2 მან.



## ტფილისის საკრებულოში (სობრანიე)
## კვირას, 31 ოქტომბერს,

გამართავს საჯაროდ ფრიად საინტერესო წარმოდგენას. ეს მაგალითები იმით არის შესანიშნავი, რომ ლორენცი დააძინებს კაცს და მერე რაც უნდა იყოს იარაღით დასჭრის დაძინებულს და ამ ჭრილობით არავითარ ტკივილს და ზიანს არ მიაყენებს.

დასაწყისი 8 საათზე. ბილეთები იყიდება საკრებულოს შვეიცართან.

გამგებელი დ. ნემეტი.



!!მიაქციეთ ყურადღება!!

## ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილ... ...ი სობრანიეს გვერდზედ.

იმპემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანეთზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სალუქასო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩ... ...იღებს იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთები
საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—88)



## ქართული წერის რვეულები
(ახალი გამოცემა)

„დედა-ენასთან“ სახმარებელი, დაიბეჭდა ახლად საუკეთესო ქაღალდზე და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი ოთხი კაპეიკი. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ასობით, იმას თითო რვეული მიეცემა $3^{3}/_{4}$ კაპეიკად; ხოლო ვინც ხუთასობით იყიდის, თითო რვეული დაეთმობა სამ კაპეიკ ნახევრად $3^{1}/_{2}$ კაპ. (6—6)



## ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.



## ექიმი
## გ. ს. გენცენფილდი
ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღე დებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.



## „უნივერსალნი მაღაზია“
იხილე განცხადება უკანასკნელ გვერდზე.



სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქალურ გო, თვალისა და ყურთა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ბ. ზერაგი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ქობანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი. საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟის თვისი

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ თოფურია

Лѣчебница С. В Топурia въ Кутаисѣ


## ახალი ამბავი

*** ახალი ამხანაგობა ქართველებში. ჩვენ მოგვიტანეს წესდება ახლად შემდგარის ურთიერთ შორის დამხმარებელის ამხანაგობისა, რომლის შემდგენი უკისრნია ერთს ვაჭარს ბ-ნ ი. მ—ვს. ამხანაგები განსაკუთრებით შესდგებიან ქართველ სხვა და სხვა ხელოსნებისაგან. აი თვით წესდება ამხანაგობისა.

შირობა ურთერთის დამხმარებელის საზოგადოებისა.

1899 წელსა ...თვესა ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერელნი შევეკარით ერთმანერთს ამხანაგური პირობით შემდეგში:

1) ყოველი ჩვენთაგანი—ამხანაგი მოვალეა საამხანაგო თანხაში შეიტანოს თითო თუმანი და შემდეგ ყოველ კვირას თითო მან. ვიდრე ერთ წლამდე.

2) ყველა ამხანაგების შორის შეკრებილი ფული უნდა ინახებოდეს ქართველთა სამეურნეო ბანკში, სადაც ამხანაგებისაგან ამორჩეულ თავსმჯდომარეს ყოველ კვირაობით უნდა შეეტანოს ამხანაგობის სახელობაზე.

3) ერთის წლის განმავლობაში არც ერთს ამხანაგს ნება არა აქვს გაიტანოს თავისი ფული, თუ რაიმე შესაწყნარებელი და პატივ-სადები მიზეზი არ ექნება; ვინც უმიზეზოდ გავა ამხანაგობიდან, იმას ამხანაგობის სასარგებლოდ გამოერიცხება ერთი თუმანი და სხვა ფული კი უკან დაუბრუნდება და თვითონაც ამხანაგობიდან გამორიცხული იქნება.

4) ყოველს ამხანაგს ექნება წიგნაკი, სადაც მოთავსებული იქნება ამ პირობის პირი და აგრეთვე წიგნაკში ჩაიწერება ყოველი ამხანაგის მიერ შეტანილი ფული, რაზედაც ხელს აწერს ამხანაგობის თავსმჯდომარე.

5) საქმის მიმდინარეობისა და თავსმჯდომარეს მოქმედების ...თვალყურის ამხანაგები ირჩევენ თავის შორის სამ კაცს, რომელთაც ყოველ კვირა რევი-

ზია უნდა მოუხდინონ თავსმჯდომარეს და დავთრები გასინჯონ.

6) თუ რომელიმე ამხანაგები საყოველთაოდ კვირაო შემოსატან ერთს მანეთს ერთის თვის განმავლობაში არ შემოიტანს მას ეკარგება ამხანაგობის უფლება და ერთი თუმანიც ეკარგება დანარჩენ ამხანაგების სასარგებლოდ. ხოლო დანარჩენი ფული უკანვე უბრუნდება.

7) თუ თავსმჯდომარემ საქმისათვის საჭიროდ დაინახა ამხანაგობის შეკრება და თუ რომელიმე ამხანაგი არ გამოცხადდა უმიზეზოდ, მას ჯარიმად გადახდება ერთი მანეთი, აგრეთვე ჯარიმა გადახდება იმ რევიზის წევრთ თუ ვინიცობაა არ მოვიდნენ და არ გასინჯეს უკველ კვირა თავმჯდომარის დავთრები.

8) უკველ წლის თავზე ამხანაგები უნდა შეიკრიბნენ ანგარიშების განსახილველად, თანამდებობის პირთა ამორჩევად და საქმის წარმოების გამოსაკვლევად.

9) ღმერთმა ნუ ჰქნას და თუ რომელიმე ამხანაგი გარდაიცვალა, მაშინ მისი უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე, ხოლო თუ მემკვიდრე არ ეყოლება, მაშინ მისი ფული ამხანაგობის სასარგებლოდ მიდის.

11) უმთავრესი საგანი ამხანაგობისა არის ხელის შეწყობა, დახმარება თავის ამხანაგობისათვის ამა თუ იმ საშუალებით.

12) ყოველს სხვა საქმესა და გარემოებაში ამხანაგები ემორჩილებიან საერთო სახელმწიფო კანონებს.

*** ახალი მინისტრი. როგორც მკითხველებმა იციან რუსეთში საშინაო საქმეთა მინისტრათ დანიშნულ იქმნა ბ-ნი დ. ს. სიპიაგინი. დ. ს. სიპიაგინი სამსახურში შევიდა თავდაპირველად საშინაო სამინისტრო საერთო საქმეების დეპარტამენტში 1876 წელს; ამ სამსახურიდგან მან გაიცნო ყოველნაირი საზოგადო და საერო ხალხი, ნამეტნავად თავად-აზნაურობა. 1878 წელს იგი ამორჩეულ იქმნა კანდიდატად ვოლოკალამსკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა; სამის წლის შემდეგ ისევ ამორჩეულ იქმნა ამავე თანამდებობაში; 1881 წელს ამორჩეულ იქმნა მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. 1886 წელს მას ებოძა იმპერატორის სასახლის "კამერგერობა, 1886 წელს დანიშნულ იქმნა ხარკოვის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად. 1888 წელს გადაყვანილ იქმნა კურლიანდის გუბერნიის უფროსად 1891 წელს გადმოყვანილ იქმნა მოსკოვის გუბერნატორად. 1893 წელს ბ ნმა სიპიაგინმა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თანაშემწეობა იკისრა, 1894 წ. გადაყვანილ იქმნა ამავე თანამდებობაშივე საშინაო საქმეთა მინისტრთან. და 1895 წელს დანიშნულ იქმნა ხელმწიფე იმპერატორის სახელზე არზების მიმღები კანცელარიის უფროსად. მხოლოდ ამ თანამდებობიდგან დანიშნულ იქმა საშინაო საქმეთა მინისტრად.

*** შეწირულება. კავკასიის მთავარ-მმართებელის სენატორის თავ. გ. ს. გოლიცის შეუწირავს ტფილისის მეორე ვაჟების გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ 100 მანეთი.

*** ქართული წარმოდგენა. გუშინწინდელს ქართულს წარმოდგენას სამწუხაროდ ნაკლებად დაესწრო ხალხი, თუმცა პიესა კარგად შეასრულეს მოთამაშეებმა. განსაკუთრებით კარგები იყვნენ ბ ნი აბაშიძე, და მესხი, კ. ყიფიანი, გედევანოვი, შათარიშვილი, ადამიძე და სხვა, მოთამაშე ქალებში კარგები იყვნეი ქ-ნი რენელი ნებიერიძე, გარელი. თავი მოაწონა საზოგადოებას ახლად გამოსულმა მოთამაშემ ქ. ბ-ნ კავთელმა.

*** დანიშნულება. დანიშნულია ტფილისის გუბერნატორისაგა და დამტკიცებულ იქმნა საქალაქო ლომბარდის გამგეთ ტფილისის საბჭოს ხმოსანი ა. ს. ბალდასაროვი.

*** ქუთაისის გუბერნატორი გერშელმანი ტფილისიდგან წავიდა ქუთაისში.

*** კავკასიის სპარსეთთან შეერთება. მომავლის წლის 1 ოქტომბრამდის უნდა შემუშავებულ იქმნეს თუ როგორ უნდა შეუერთდეს რკინის გზით კავკასია სპარსეთს. ამ შეერთებაზედ შემდეგი პროექტია- 1) შტო უნდა გავიდეს სადგურ ყარაკლისიდგან (ყარსის რკინის გზისა) ქ. ერევანზედ და მურატზედ მდინარე არაქსისაკენ; აქედგან ჯულფაზედ თავრიზში, ადგილ ხაიაზე ურმიის ტბისაკენ; 2) სადგურ ალიატიდგან (კავკასიის რკინის გზისა) გზა წავა კასპის ზღვის პირას ასტარაზედ და ლენქორანზედ რეშტაში. და 3) სადგურ ევლახიდგან (კავკასიის რკინის გზისა) პირდაპირ თავრიზში. ამ სამში ერთ-ერთი პროექტი უნდა დამტკიცდეს.

*** ყარსის რკინის გზაზედ. დღეს 30 ლვინობისთვეს მოხდება კრება ინჟენერებისა შესახებ ყარსის რკინის გზის ჩაბარებისა.

*** ტფილისის ახალ პროგიმნაზიაზედ. უკანასკნელ საბჭოს კრებაზედ დადგენილ იქმნა, რომ ქალაქმა ყოველ წლივ უნდა აძლიოს 10000 მანეთი ვაჟების პროგიმნაზიის გასახსნელათ ავლაბარში.

*** სასტუმროების დაკეტვაზე. ტფილისის სასტუმროებზედ, „ბათუმი“ და „მოსკოვსკი ნომერა“ პოლიცმეისტერი მეცადინობს გუბერნატორთან, რომ დაკეტილ იქმნასო.

*** ჩარჩ ვაჭრების ალაგმვა. ვგონებ ტფილისის არა რომელიმე ნაწილი არ იყოს ისე უყურადღებოთ დატოვებული. როგორათაც მეშვიდე ნაწილი ავლაბარი.

იქ იმყოფება საქალაქო ყანთარი, სადაც მოაქვთ მაზრის ახლომახლო სოფლებიდან გლეხ-კაცობას ნაშრომ-ნაღვაწი სანოვაგე მაგ. ფქვილი, ქერი, სიმინდი, ლობიო, კაკალი და სხვ. ამავე ალაგას იმყოფება ჩარჩ-ვაჭართა ბრბო „შაიკა“, როგორც დაინახამენ სოფლიდან მომავალ სანოვაგის ურემსა ფიცხლავ დაესევიან ტომარამეშოკ გოდრებსა და როგორათაც თავიანთ საკუთრება ისე დაეპატრონებიან, რომელზედაც არ შეუძლიან რომელიმე კერძო კაცი შეეხოს მათის შიშითა, შემდეგ შემოეხვევიან და დაუწყებენ პატრონს ვაჭრობას, ერთი აქედან მეორე იქიდან მუჯლუგუნის ცემით და ყვირილითა, ვიდრე ჩალის ფასად გამოაცლიან ხელიდან პატრონსა და როდესაც საქმე მიდგება წონასაწყაოზე-ისიც ხომ მსყიდველების სურვილზეა დამოკიდებული, ზოგს თავიდან უჭრიან, ზოგს ბოლოდან და უშვებენ საწყალ ხალხს პირში ნერწყვ-გამშრალს; შემდეგ იმავე ალაგას აწყობენ და იწყობენ ვაჭრობას დილიდან საღამომდის თავისუფლათ. ვგონებ საქალაქო დებულების წესით შუადღის წინ არა აქვთ უფლება ჩარჩ-მოვაჭრეებსა სანოვაგე სავაჭროს, მაგრამ მიუხედავათ ამისა მათვის სულ ერთია დილა იყოს თუ საღამო, ვინაიდან მათ არა ჰყავთ ხელის-შემშლელი. იმავე ყანთართან ერთი საჟენის მანძილზე იმყოფება სავაჭრო-სამრეწველო ბუტკა, რომელშიაც იმყოფებიან ვაჭრობის მეთვალყურე ზედამხედველნი აგენტი ნაცვალი და ბაზარნიკი, ისინი ამ სურათს ისე უყურებენ თითქოს მათ წმინდა მოვალეობას არ შეადგენდეს მათი თვალყურის გდება და ჩარჩების ალაგმა. სასურველია ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს, თორემ შესაძლებელია წაქეზდნენ და შემდეგ მომეტებული უწესო ყოფა-ქცევა ჩაიდინონ.

მაყურებელთაგან.

## სამეურნეო ცნობა

ოქროს დარიგება ვაზის მოშენებაზე და ღვინის დაყენებაზე.

(დასასრული*)

რუსული ბადრიჯნის ძმარი. შესახებ რუსული ბადრიჯნის ძმრის მომზადებაზედ, მე მქონდა დაწერილი 1894 წ. კავკასიის სამეურნეო გაზეთში მე 4 ნომერში. აი როგორ მზადდება: აიღეთ მწიფე ბადრიჯანი შეაქუჩეთ ერთ ადგილას დასტოვეთ ერთი კვირა, რომ კარგათ დამჟავდეს, შემდეგ აიღეთ ჩაყარეთ საქაჯავში და კარგად გაქაჯეთ, გაქაჯული პამიდორის წვენი ჩაასხით პირ ახდილ კათხაში ან ქვევრში, შიგ ჩაყარეთ ძალზედ გაქაჯული ყურძნის ჭაჭა, როცა წვენი დაიდუღებს ყურძნის ჭაჭაზედ, მაშინ მას ეკარგება ბადრიჯნის გემო და ეძლევა ყურძნის წვენის გემო, ორი კვირის შემდეგ გადაიღეთ სხვა სუფთა ჭურჭელში, შიგ ჩადეთ ერთი გუნდა ხაში და ჭურჭელი დადგით თბილ ადგილას, რომელიც ორ თვეზედ დაცხარდება და საჭმელშიაც ხმარობენ: რადგანაც ჩემმა გამოცდამ დამარწმუნა, რომ ვაშლით შეიძლება მომზადდ[illegible]ნო და ძმარი და რუსული ბადრიჯნითაც ძმარი, ამისათვის მე ვურჩევ ჩვენს მემამულეებს გამოსცადონ ეს წესები, დარწმუნდნენ თუ რამდენად არის სასარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის ამისთანა გამოსადეგი საგნების ცოდნა.

დედამიწის ზურგზედ ითვლება სხვა და სხვა ადგილას ათას ნაირი სხვა და სხვა ჯიშის ყურძენი, რადგანაც სუყველას ჩამოთვლა და აღწერა მოუხერხებლათა ვსთვლი, ამისათვის. მე ჩამოვსთვლი მარტო იმ ჯიშის ყურძნებს რომელსაც ჩვენში თუ ყირიმში ხმარობენ ღვინის დასაყენებლად ან კიდევ სუფრაზედ მისატანად.

ღვინის დასაყენებლად გამოსადეგი კახური ჯიშის ყურძენი: რქა თითელი, მწვანე, მცვივანი, ბუდეშური, საფერავი და ქიშმიში.

სუფრაზედ მისატანი კახური ყურძნი ხარის თვალა, თითა, ქლია.

ღვინისათვის გამოსადეგი ყირიმული ჯიშის ყურძენი. თეთრი და შავი მუსკატი, რისლინგი, ალეგანტი, ვარდის ფერი მუსკატი, ტრამინერ, პინოგრი, პინო-ბლან, პედროკსიმენის, ალბოლია. და სხვა.

სუფრაზედ მისატანი ყურძენი: ორლეან, ჩაუშ, მოსლო, იზაბელლა. უნგრეთული და ცისფერი მუსკატი.

ღვინისათვის გამოსადეგი ფრანგული ჯიშის ყურძენი. გრენაჯ, მალ-

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 943.

მოურგედერ, სირან, კარტი-
ა, კაბერნე.

გრამ ვისაც სურს სუფრაზედ ...ტანი საუკეთესო ყურძნის გა-
...ება, იმან უნდა გაიჩინოს განჯუ...რი ყურძნის ჯიში, სადაც ითვლე-
ბა მრავალ გვარი საუკეთესო ყურ-
...ნი მაგალითად, „ორიშ ბაზა“, მშვენიერი ყურძენი მით არის ...ანიშნავი, რომ ინახება თითქ-
...მეორე ყურძნობამდის, კარ-
...როგორც საჭმელად, ისე ეწნი-
...ებათ. მისი მარცვალი მოგრძე-
...ოა მაგარი კანისაა და კაკლის ...იდენაა, ამისათვის კარგი იქნება რომ ჩვენმა მემამულეებმაც გაამ-
რავლონ ეს ყურძენი.

არჩილ დარეჯანაშვილი.

# წვრილი ამბავი

—

კორსეტის ხმარების საწინააღმ-
...დეგო საზოგადოება საფრანგეთში. ...საფრანგეთში არსებობს ერთი საზოგა-
...დოება, რომელსაც აზრადა აქვს ქალე-
ბი კორსეტის ხმარებისაგან გადაარჩინოს. ...მას წინად ამ საზოგადოების თავმჯ-
...დომარეს წერილით მიუმართავს შესა-
...ნიშნავ არტისტ ქალს დუზესთვის და ...თხოვნია თეატრალურ ტანისამოსში ...გადაღებული თქვენი სურათი გამოგ-
...გზავნეთო. დუზე კორსეტს არ ატა-
...რებს და საზოგადოებას იმის სურათი ...ლებისთვის საჩვენებლად სდომებია. ...თავმჯდომარეს შემდეგი წერილი მისვ-
...ლია დუზეს ქალისაგან: „ელენორა დუ-
...ზე მადლობას გიცხადებთ წერილისთ-
...ვის, მაგრამ სამწუხაროდ, თქვენ თხოვ-
...ნას ვერ ასრულებს და სურათს ვერ ...გიგზავნით, რადგანაც ასეთი სურათი ...გადაღებული არა აქვს. ამ ჟამად გიგ-
ზავნით მხოლოდ ჩვეულებრივ ტანისა-
მოსში გადაღებულ სურათს. კორსეტს ...უდაჩემი არასოდეს არა ვხმარობს და ...ც მე მაძლევს ნებას ვიხმარო.

„ჰენრიეტა მარკეტი“.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**ბერლინი** „Norddeusche All-...meine Zeitung“-ი სწერს: „და-
...ბაზობას, რომელსაც გადაუხდიან ...თნი უდიდებულესობანი ჩვენს ...იმპერატორსა და დედოფალს, სი-
...არულით მოეგებება ჩვენის ერის ...ყველა წოდება, ვითარცა ხალხს ...ანდს ძვირფას დამოკიდებულები-
..., რუსეთისა და გერმანიის სა-
...ო სახლთა და გერმანიისა და ...თის იმპერიათა შორის არსე-
... იმპერატორს ნიკოლოზ ...ტივსა ვცემთ ვითარცა ...აჭიერს, სოლიდარულს მო-
... რომელიც დიდებულ საგ-

ნებისაგან წარმართავს მსოფლიო იმპერიას და გერმანიასთან კეთი-
ლი მეზობლური, საუკეთესო დამოუკიდებულება აქვს. ამა და-
მოკიდებულებამ რუსეთის საზღვარ გარეშე, ორი საუკუნის საზღვარ-
ზედ, გაანაყოფიერა პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრება დედა-
მიწის ზურგის ყველა ხალხისა ახა-
ლის, ბევრის მოლოდინის დამპი-
რებელ გრძნობანითა და გულის-
თქმანით. შევყურებთ რა ამა უავ-
გუსტოესს მოწინავე მებრძოლს კაცობრიობის საუკეთესო მისწრა-
ფებათათვის, ჩვენ ვხედავთ ამასთა-
ნავე ერთად გერმანიისა და რუსე-
თის მეგობრობის დამამკვიდრე-
ბელს, რაიცა სიმკვიდრეს არა ერთ გზის უჩენია თავი საქმით. ამ გერ-
მანიისა და რუსეთის ერთ-გვარ ნაყოფიერ მორიგებაზედ, რომე-
ლიც უზრუნველ-ყოფილია ორი-
ვე ხელმწიფის გულითადის დამო-
კიდებულებით, დაფუძნებულია იგი, რომ გერმანიისა და რუსე-
თის ჯარს შეუძლიან მშვიდობიანად იმოქმედოს ევროპაში ერთმანეთის გვერდით. მტკიცეთ ვართ რა და-
რწმუნებულნი, რომ ხვალინდელს დღეს ბედნიერი შედეგი ექნება კეთილ დღეობისა და მშვიდობია-
ნობისათვის, მოწიწებითა და გუ-
ლითადად მივეგებებით უავგუს-
ტოესს რუსეთის მონარქსა და იმისს უავგუსტოესს მეუღლეს, ვითარცა სტუმართ ჩვენის იმპერა-
ტორისასა და იმპერატრიცასას.“

**ბერლინი**. „Morning Post“-ს აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ რუსეთისა, საფრანგეთისა და ის-
პანიის ერთმანეთ შორის მოლაპა-
რაკება ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ჩარეულიყვნენ ინგლისისა და ტრანსვაალის საქმეში და შეთან-
ხმნენ კიდეც ერთმანეთს, რომ სა-
ზოგადო ნოტით სამედიატორო სასამართლოს მოწვევა ერჩიათ. გერმანიის დახმარებასაც მიჰმარ-
თეს, მაგრამ გერმანიამ უარი შე-
მოუთვალაო. ამ დეპეშის შესახებ „ვოლფის სააგენტო“ შენიშნავს: „რუსეთისა, საფრანგეთისა და ის-
პანიის იმ საერთო განზრახვის შე-
სახებ, რომ ტრანსვაალის საქმეში ჩარეულიყვნენ, ჩვენ გარდაწყვე-
ტით შეგვიძლიან განვაცხადოთ, რომ აქ არა უწყიან-რა და არავის ეს ამბავი გერმანიის მთავრობისა-
თვის არ უცნობებია და კიდეც ამიტომ არც შეეძლო გერმანიის მთავრობას უარ-ეყო ეს ანუ სხვა ამგვარნი წინადადებანიო.

**ვილდაპარკი**. აქ მობრძანდნენ რუსეთის იმპერატორი და იმპერა-
ტრიცა. დახვდნენ გერმანიის იმ-
პერატორი და იმპერატრიცა. რო-
დესაც მატარებელი მოახლოვდა, სიპატიო ყარაულმა სამხედრო სა-
...ლამი მისცა, ხოლო მუსიკამ რუ-

სეთის საერო საგალობელი დაუ-
კრა, ხოლო ხალხმა „ურა“ შეს-
ძახა. რუსეთის იმპერატრიცა პი-
რველი გადმოვიდა ვაგონიდგან და გერმანიის იმპერატრიცა გუ-
ლითადად გადაეხვია და დაჰკოც-
ნა. ორივე იმპერატორმაც რამ-
დენჯერმე დაჰკოცნეს ერთმანეთს. შემდეგ რუსეთის იმპერატორი დიდხანს ესაუბრა თავადს რადო-
ლინს, ხოლო გერმანიის იმპერა-
ტორი—გრაფ მურავიოვს. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ორნი იმპერატრიცანი ახალს სასახლეში მიბრძანდნენ, სადაც შემდეგ იმ-
პირატორნიც წაბრძანდნენ. გზა-
ზედ მათ უდიდებულესობათ ხალ-
ხი ალტაცებით ეგებებოდა.

**ლონდონი**. „Dailu Pel“-ს პიტემარიცბურგიდგან ატყობინე-
ბენ, რომ გენერალი ფრენჩი დურ-
ბანიდგან კაპის ახალშენში წავი-
დაო.

მეფკინგიდგან იუწყებიან, რომ გუშინ ბურებმა იერიში მიიტანეს ამ ქალაქზედ და მოიწადინეს იმის აღება, მაგრამ ჩვენმა ჯარმა უკან დასწიაო. ბევრმა ბურმა დამალულ ნაღმებზედ გადაირბინა. ნაღმები აფეთქდა და მრავალნი დაიხოც-
ნენო.

„Dailu Pel.“-ს პიტემარიცბურ-
გიდგან ატყობინებენ: „ბურებმა ჯარით კოლენსოსაკენ დაიწია. მიზეზად იმ ზარალსა სთვლიან, რომელიც ბურებს ლედი სმიტიდ-
გან მიაყენეს.

**მადრიდი**. პოლიტიკურ წრეებ-
ში გამოაშკარავდა, რომ მოლაპა-
რაკება მართლაც არის ტრანსვაა-
ლის საქმეში ჩარევის შესახებ.


## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ
## НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ
## для самообразованія

VIII-й г. изд. **МИРЪ БОЖІЙ** VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предолагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Верб-
ицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горького; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказ. г.г. Бунина, Потапенко, Станюковича, Чирикова.

**Научныя статьи и сочиненія**. «Антропологическіе очерки» проф. Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», В. Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть. III. П. Милюкова. «Александръ I и его время», А. Прѣснякова: «А. С. Пушкинъ (юбилейная статья). Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова «Ада Негри», В. я Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. М. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицкаго; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб о вс.
Безъ доставки на годъ . . . . . 7 »
За границу на годъ . . , . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| По полугодіямъ; | | по третямъ года: | |
|---|---|---|---|
| | | Съ доставкой и пересылкой в города Россіи; | |
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода | 4 р. | въ январѣ . , . | 3 » |
| За границу . . . | 5 р | » маѣ . . . | 3 р. |
| | | » сентябрѣ . . . | 2 » |
| Безъ доставки по соглашенію конторой | | За границу: въ январѣ . | 4р. |
| | | » » » маѣ . . | 3 р. |
| | | » » » [illegible]ябрѣ . | 3 « |

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница А. Давыдова. Редакторъ В. П. Острогорскій.

# განცხადებანი


## СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ

### общедоступный еженедѣльный журналъ

**Въ годъ 52 №№ журнала и 12 книжекъ библіотеки «СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ».**

Подписная цѣна: съ пересылкой и доставкой: въ годъ 5 руб., на ½ года 3 руб., За границу 8 р.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА:**

съ 1-го Августа по 1-е Января 1900 года со всѣми приложеніями—2 руб. съ пересылкой.

За всякую перемѣну адреса—50 к., можно марками.

За объявленія: за строку петита въ одинъ столбецъ по 30 коп. (три столбца на страницѣ).

**ЦѢНА ОТДѢЛЬНАГО НОМЕРА 15 КОП.**

Подписка принимается въ конторѣ журнала, С.-Петербургъ, Невскій. 148.

**Въ журналѣ принимаютъ участіе:** В. А. Анзиміровъ.—И. А. Баженовъ.—Проф. Н. И. Быстровъ.—Д-ръ В. М. Бурлаковъ.—Проф. А. Я. Данилевскій.—Проф. В. П. Доброклонскій.—Проф. Г. А. Донбергъ.—Д-ръ А. О. Дукатъ.—Пр. доц. В. П. Жуковскій.—Проф. С. I. Залесскій,—Д-ръ М. Д. Ильинъ—Д-ръ В. ф. Краевскій.—Проф. П. ф. Лесгафтъ.—Проф. Е.—Павловъ.—Проф. В. В. Подвысоцкій (Кіевъ).—Проф. А. В. Пель.—Д-ръ В. И. Раммъ.—Проф. И. А. Сикорскій (Кіевъ).В Проф. И. П. Скворцовъ (Харьковъ).—Академикъ Князь И. Р. Тархановъ.—Д-ръ А. Н. Шабанова.—Д-ръ Б. Е. Шехтеръ и Рд.

**Подписка на 1899 годъ продолжается.**

Всѣ вновь подписавшіеся на 1899 годъ получатъ журналъ со всѣми безплатными приложеніями съ 1-го Ноября 1898 года по 1-е Января 1900 года, т. е. 60 нумеровъ журнала и 19 ежемѣсячныхъ безплатныхъ книжекъ.



## „ბუნების კარი“

(ახალი შევსებული გამოცემა)

დაიბეჭდა მეათედ (50 000) და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ეს გამოცემა შევსებულიად თექვსმეტი გვერდით უფრო დიდი წინანდელს გამოცემაზედ. ფასი კი დაკლებულია. წინად ღირდა 90 კაპ. ახლა ღირს ცალიანად 80 კაპ. ანუ ოთხი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ ათზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 70 კაპ., ხოლო ვინც ოცზედ ნაკლებს არ წაიღებს, იმას წიგნი მიეცემა 64 კაპ.

(6—6)



ძმ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის

## იაფი ვაჭრობა

იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი.

ძმათა თავართქილაძეებისავე სტამბებში. იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (С... окъ) 100 მანეთი.

იქვე ისყიდება 24 ცინკის „კლიშე“ „მეფხის ტყაოსანის“ სურათებისა, სათაურით, სულ 50 მანეთი.

(20—28)



## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торгов[ой] мышленности,

2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),

3) Ариѳметики на счетахъ.

4) Коммерческой экономіи,

5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній**

### Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2 часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣся[ца]

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго началь[ства]**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳ[ме]тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) т[ор]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 з[ад]ачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и [у] автора: Михайловская ул., № 71.**

(100—9[?])



ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭროდ

## „უნივერსალნი მაღაზია“

კ. ვ. ყარიბოვისა (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, საოჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

**ეს არის ახლად მიღებული დიდძალი**

ქოლგები.
თეთრეული.
კორსეტები.
წინდები.
ჩულქები.
ფუფაიკები.
ჟერსე
პერჩატკები.
კრუჟევა რუსული და გრან.
შალები თბილი.
შარფები.
ყელსახვევი (ბოა).

შლიაპები.
სარტყლები.
მოსართავები.
ლენტები ყოველნაირი.
ბაღდადები.
ხელსახოცები.
ყელსახვევები.
პირბადეები.
აგრამანტები.
გამაშები.
რედიკულები.
ალბომები.

სარკეები.
ნესესერები.
პორტმონები.
სანობათო ნივთები.
საქორწილო სამკაულები.
საბავშო ტანსაცმელები.
ქალების კაბების საკაზმები.
ფანჯრის ტულები.
ქსოვილი სუფრები.
საბნები ქსოვილები.
ბალიშის პირები.
ბამბები შალისა.
ყოველგვარი ფერისა.

გალოშები.
სამრეწველო საქონელი.
**არტურ კრუპის ქარხნის** ლითონეულობის ნაკეთობა.
„**ალპაკას“ ნახელოვნები,** სქლად მოვერცხლებული.
**სამზარეულო ჭურჭლები,** წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის.
**შუშები** ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი მაღაზიას ყოველ კვირას სულ ახალ-ახალი საქონელი მოსდის.

ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. (50 16)